12/05/2021

# მეუფე შიო – ცხოვრებაში მთავარია, რომ ადამიანმა იპოვოს მესია, აღიაროს იესო ქრისტე, როგორც მხსნელი, ემსახუროს მას ჭეშმარიტებით

მთავარია, რომ ადამიანმა იპოვოს მესია, აღიაროს იესო ქრისტე, როგორც მხსნელი და ძე ღვთისა, ემსახუროს მას სულითა და ჭეშმარიტებით, ეს არის საუკუნო ცხოვრება და ცხოვრების აზრი , – ამის შესახებ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) განაცხადა.

მან ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის და წმინდა ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის დღესასწაულთან დაკავშირებით იქადაგა.

მეუფე შიომ სულიერი ცხოვრების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

„ცხოვრებაში მთავარია, რომ ადამიანმა იპოვოს მესია, აღიაროს იესო ქრისტე, როგორც მესია, მხსნელი და ძე ღვთისა, ემსახუროს მას სულითა და ჭეშმარიტებით, შეიცნოს უფალი იესო ქრისტე, ეს არის საუკუნო ცხოვრება და ცხოვრების აზრი. ეს

არის, როგორც უფალი იესო ქრისტე ამბობს – გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება, მე ვარ გზა, მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება. ვინც იპოვის მესიას, ის პოულობს გზას, პოულობს ჭეშმარიტებას, პოულობს, ცხოვრობს. ვინც ქრისტეს გარეთ არის, ის რჩება სიცოცხლის გარეთ იმიტომ, რომ ადამიანი არის მარადიული არსება და მარადისობისთვის მოწოდებულია. იესო ქრისტეს გარეშე ამ მარადისობას ადამიანი ვერასდროს იმკვიდრებს. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ, გაგახაროთ, უფალი იესო ქრისტე გვასწავლის, რა არის მთავარი ცხოვრებაში.

ჩვენ ვფიქრობთ ჩვენს თავზეც, დღეს რამდენად შორს ვართ ისეთი განწყობისგან, რომ ვფიქრობდეთ და გვადარდებდეს მხოლოდ ის, რას ფიქრობს უფალი იესო ქრისტე, რას გრძნობს უფალი იესო ქრისტე, რა სურს მას, რას გვეუბნება ჩვენ, რას ითხოვს ჩვენგან. გულის სიღრმეში რომ ჩავიხედოთ, ეს არის ჩვენი მთავარი საზრუნავი? თუ უფრო მეტად ის, რომ ამქვეყნიურ კეთილმოწყობაზე ვიზრუნოთ, ალბათ, მრავალი ადამიანისთვის უფრო მეტად საზრუნავია ის, თუ როგორ არიან მათი შვილები, შვილიშვილები, რამდენად ჯანმრთელად არიან, რამდენად გამოკვებილნი და ნასწავლნი არიან. ძალიან გავრცელებულია დღეს ეს გამოთქმა, მთავარია ჯანმრთელობა და იმაზე ვზრუნავთ კი, რომ შვილები სულიერნი არიან თუ არა, არიან ქრისტესთან, თუ არ არიან? ამიტომ, უფალი მეტს ითხოვს ჩვენგან, ცდილობს, რომ გვასწავლოს ეს ყველაფერი.

აი, ეს უნდა უფალს, რომ მოგვცეს საუკუნო სიცოცხლე და იმისთვის არ მოსულა, რომ ჩვენი შვილიშვილები ჯანმრთელები იყვნენ. ეს კარგია რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი ვუსურვებთ ერთმანეთს (ჯანმრთელობას), მაგრამ ეს არაა მთავარი, როგორც, სამწუხაროდ, ბევრისთვის არის, უფალი იესო ქრისტე გვასწავლის იმას, რაც მთავარია ამ ცხოვრებაში. ამიტომ მოვიდა, ამიტომ იწილხვედრა ღვთისმშობელმა ჩვენი ქვეყანა, ამიტომ წარმოიგზავნა ანდრია პირველწოდებული, რომ გვასწავლოს, რა არის მთავარი ამ ცხოვრებაში“, – განაცხადა მეუფე შიომ.

მისივე თქმით, ილია მეორე არის გამგრძელებელი წმინდა ანდრია პირველწოდებულის სამოციქულო ღვაწლის, სწორედ ის არის ადამიანი, რომელიც თავისი თვისებებით ატარებს ამ დიდ ნიშნებს.

„მინდა, თქვენთან ერთად ჩვენი მილოცვა გავუგზავნოთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს, რადგან თუ დღეს ვინმე არის გამგრძელებელი წმინდა ანდრია პირველწოდებულის სამოციქულო ღვაწლის, სწორედ ის გახლავთ. სწორედ ის გახლავთ ადამიანი, რომელიც თავისი თვისებებით ატარებს ამ დიდ ნიშნებს. მისი ღვაწლის მასშტაბი, მისი ღვაწლის ნაყოფი ჭეშმარიტად არის სამოციქულო და ჩვენ დღეს ამას ვხედავთ, ვიმკით. ვმადლობთ დღეს მას, ვუსურვებთ დღეგრძელობას და ჯანმრთელობას. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და გაგაძლიეროთ. ღმერთმა ინებოს, წმინდა ანდრია პირველწოდებულის ლოცვით გამთლიანდეს, გაძლიერდეს და გადარჩენილი იყოს ჩვენი ქვეყანა, ამინ“, – განაცხადა

მეუფე შიომ.
1tv.ge